ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის
ბრძანება
ქ. მარტვილი

ბრძანება:**№58. 58230663**

თარიღი:**07/03/2023**

მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 38 (ოცდა თვრამეტი) ერთეული ლითონის და 8 (რვა) ერთეული პლასტმასის ამორტიზებული სანაგვე ურნების ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.ე“ ქვეპუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, 119-ე მუხლის მე-10 ნაწილის, საქართველოს კანონის ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის, მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების მე-13 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადებული იქნას ვადაგაგრძელებული ელექტრონული აუქციონი მარტვილის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 38 (ოცდა თვრამეტი) ერთეული ლითონის და 8 (რვა) ერთეული პლასტმასის ამორტიზებული სანაგვე ურნების პრივატიზების მიზნით.

2.ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასური განისაზღვროს 926.75 ლარით. „ბე“ 278.25 ლარით ,,ბივი“ 100 ლარით

3.განისაზღვროს ელექტრონული აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი, კერძოდ: აუქციონი გამოცხადდეს 2023 წლის 10 მარტს 15.00 საათზე და დასრულდეს 2023 წლის 17 მარტს 17 საათზე

4. ბრძანების შესრულება დაევალოს მარტვილის მუნიციპალიტეტის ქონების განკარგვასთან დაკავშირებით შექმნილ კომისიას და მანვე უზრუნველყოს სააუქციონო განცხადების გამოქვეყნება ვებ.გვერდზე www.eauction.ge-ზე

5. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი განახორციელოს მერის პირველმა მოადგილემ ალექსანდრე ხურცილავამ

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი, შ. რუსთაველის ქ N 247) მისი გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

თორნიკე ჯანაშია

მარტვილის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი